

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №291

2016 წლის 30 ივნისი

ქ. თბილისი

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2014, 240140000.10.003.017985) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“:

1. პირველი მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) რეფინანსირება - ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მიმართულებებში, პროგრამის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული მიზნებისთვის გაცემული კრედიტით, პროგრამის ბენეფიციარის მიერ ამავე პროგრამის ფარგლებში აღებული მიმდინარე კრედიტის გადაფარვა კომერციულ ბანკში ან პროგრამის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მიმართულებაში ¹ მუხლით განსაზღვრული პირობებით გაცემული მიმდინარე სალიზინგო პროექტის გადატანა პროგრამის მონაწილე სხვა ლიზინგის გამცემთან;“.

2. მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაფინანსება:

ა.ა) ბოსტნეულის, კენკროვანი კულტურების, მწვანეხეხვის და სოკოს სასათბურე მეურნეობა;

ა.ბ) მესაქონლეობის ფერმა (მერძეული-მეხორცული);

ა.გ) მელორეობის ფერმა;

ა.დ) მეფრინველეობის ფაბრიკა (მხოლოდ მეხორცული მიმართულების გამოსაზრდელი და სანაშენე დანიშნულების მქონე);

ა.ე) ძვირფასბეჭვიანი ცხოველების ფერმა;

ა.ვ) თევზის წარმოება;

ა.ზ) მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოება;

ა.თ) საჩითილეები და სანერგეები;

ა.ი) მრავალწლიანი კულტურების ბაღები, ზვრები, პლანტაციები და სხვა;“.

3. სახელმწიფო პროგრამის №3 დანართის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სასტუმრო;

NACE (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი):



55.1	<p>სასტუმროები</p> <p>ეს ჯგუფი შეიცავს:</p> <p>საცხოვრებელი ადგილების გაცემას მოკლე ვადით:</p> <p>სასტუმროებში, ოტელებში, მოტელებსა და ქალაქგარე სასტუმროებში;</p> <p>სასტუმროებში, კონფერენციების ჩატარების პირობებით;</p> <p>ეს ჯგუფი აგრეთვე შეიცავს:</p> <p>რესტორნების მომსახურებას მოკლევადიანი საცხოვრებელი ადგილების გაცემასთან ერთად</p> <p>საწოლი ვაკონების მომსახურებას ცალკეული ფორმების მიერ.</p>
------	---

NACE 55.1 კრიტერიუმით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურული ბაზა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

<p>სასტუმროს თითოეული ნომრის ოთახ(ებ)ის ფართობი – არანაკლებ 18 კვ.მ, მათ შორის – სააბაზანო/სანიტარიული კვანძის ფართობი არანაკლებ 4კვ.მ;</p>
<p>ლიფტი - თუ შენობა 2-ზე მეტსართულიანია</p> <p>გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ლიფტი არაეფექტურია ტექნიკურ-ეკონომიკური და ესთეტიკური თვალსაზრისით და არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი პირობა:</p> <p>შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული მახასიათებლებიდან გამომდინარე, სალიფტე შახტის შესრულება შეუძლებელია;</p> <p>შენობა-ნაგებობა განლაგებულია ისეთ რთულ რელიეფზე (ფერდობზე, ტერასაზე და სხვა), რომელიც არ იძლევა სალიფტე შახტის შესრულების საშუალებას;</p> <p>არ შეესაბამება შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო და საყოფაცხოვრებო ნორმებს;</p> <p>თუ შენობა-ნაგებობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და მისი ადაპტაცია გამოიწვევს ძეგლის მხატვრულ-ესთეტიკური, ისტორიული და სხვა მნიშვნელობის შემცირებას,</p> <p>რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.</p>
<p>სანიტარიული კეთილმოწყობა:</p> <p>საშხაპე/საპირფარეშო ან სააბაზანო/საპირფარეშო;</p> <p>პირსაბანი;</p>
<p>ელექტრომომარაგება:</p> <p>გარე განათება;</p> <p>შენობის შიდა ფართობის განათება;</p> <p>სასტუმრო ოთახ(ებ)ის და სანიტარიული კვანძის სათანადო განათება და ელექტრომომარაგება;</p>
<p>ხმაურის კონტროლი/ჰაერის კონდიცირება:</p> <p>ხმაურდამცავი მინაპაკეტის ფანჯარა;</p> <p>ოთახების ცენტრალური ან/და ინდივიდუალური კონდიცირება (გათბობა/გაგრილების სისტემა), აღჭურვილი ინდივიდუალური მართვის საშუალებებით;</p> <p>დამხმარე ოთახებისა (საჭიროების მიხედვით) და საზოგადოებრივი ადგილების ცენტრალური ან/და ინდივიდუალური</p>



კონდიციონერება (გათბობა/გაგრილების სისტემა);

პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის:

სასტუმროსთან ეტლით მისასვლელი პანდუსი;

შენობის შიგნით შეუფერხებელი გადაადგილება;

ლიფტით, ეტლით გადაადგილება;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სასტუმროში განთავსების საშუალება.

სტუმართა რეგისტრაცია (რეცეფცია):

განცალკევებული, დამოუკიდებელი რეგისტრაციის ადგილი;

მინიმუმ სამადგილიანი მოსასვენებელი რეცეფციასთან;

სანიტარიული კვანძი მისაღებ სივრცეში.

კვების ობიექტი - სასადილო ან რესტორანი;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი

